F1375/11197

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფან-კლუბი

ჟურნალ „ოსკარის" დამატება № 1 ფასი 40 თ.

როგორ შევხვდეთ საყვარელ მომღერალს თვეში ერთხელ



როგორი გოგონები მოსწონს დათო ხუჯაძეს?

როდის აპირებს ლელა მეორე შვილის გაჩენას?





როდის მიემგზავრება ქეთა მოსკოვში?



სად გაქრა ნიკა ტაბატაძე?

რა სუნამოს ხმარობს „უცნობი"?



ჰყავს თუ არა შეყვარებული სტეფანეს?



ზურა და პაატა ჩემს დაბადების დღეზე რომ დავპატიჟო, მოვლენ თუ არა?

სოფო, 16 წლის



ზურა: – ჩვენ შეგვიძლია სოფო ჩვენს კონცერტზე დავპატიჟოთ.

ჰყავს თუ არა ლელას და ან ძმა?

ქეთი



– ლელას ორი და ჰყავს.

რა ჰქვია ცისანა სეფიაშვილის ქმარს?



– ცისანას ქმარს სოსო ჰქვია.

ნეკა, ხშირად იფიცები?

ლიკა, 21 წლის



ნეკა: – არა, ხშირად არ ვიფიცებ, ძალიან იშვიათად დედას თუ დავიფიცებ.

რატომ არ შევიდა „ქუჩის ბიჭების" „გეტყვი ერთს" ჯგუფის ახალ ალბომში?

ნინო, 18 წლის



– როგორც ბიჭებმა აღნიშნეს, სულ მალე კიდევ გამოვა ახალი ალბომი და სწორედ მასში შევა სიმღერა „გეტყვი ერთს". ცნობისათვის, 8-9 სიმღერა უკვე მზად არის.

რატომ აღარ არის ნიკა ტაბატაძე „კურიერში"?



– ამჟამად ნიკა ლონდონშია და სწავლობს, კვალიფიკაციას იმაღლებს. შესაძლოა იგი ინგლისში დარჩეს და იქ გააგრძელოს ჟურნალისტური მოღვაწეობა.

ნეკა, შენი საყვარელი ტელე-არხი და გადაცემები...



ნეკა: – საყვარელი არხია MTV, ვუყურებ Discovery-ს და OPT-ს თოქ-შოუებს.

ქეთა, შენს პიტბულს თუ ასეირნებ?

დათკა, 14 წლის



ქეთა: – არ ვასეირნებ, რადგანაც ძლიერია და ძალით მიმათრევს.

შეყვარებულები არიან თუ არა "ბუკა" და აჩი?

თინიკო, 16 წლის



– არა, როგორც "ბუკამ" აღნიშნა, ისინი მეგობრები არიან.

რომელი ქვეყნის ფეხბურთის გუნდს გულშემატკივრობს დიმა ობოლაძე?




– დიმა გულშემატკივრობს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

გაზეთი "ფან-კლუბი" ჟურნალ "ოსკარის" დამატებაა. რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.

მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე. რედაქტორის მოადგილე: თამუნა გონგაძე. ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე. თამთა მჭედლიშვილი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის" მოხსენიება აუცილებელია.

ინეიჯერი

ჰყავს თუ არა შეყვარებული ნინო ტყებუჩავას?

– როგორც გავიგეთ, ნინოს შეყვარებული მისი თანამშრომელია.



რა სუნამოს ხმარობს „უცნობი"?

ნატო, 18 წლის

გია: – ძალიან მომწონს ლაგერფილდის „ჯაკო"

# კითხვა-პასუხი

**თ**იკა, რომელი საჩუქარი და თაყვანისმცემელი დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად?



თიკა: – ბევრი ისეთი დაბნეული რეკავს, რომ მეკითხება – რა გქვიაო. ბიჭები წერილებს მწერენ და კარებთან მიდებენ. ერთმა გოგომ დამხატა „ჯეირანის“ კლიპიდან წყალთან რომ ვზივარ. ძალიან ლამაზია. ათი წლის რომ გავხდი ბიჭმა დაბადების დღეზე უზარმაზარი ვარდები გამომიგზავნა. თუ არ ვცდები – გიორგი ჰქვია.

**რ**ა სტილის ბიჭები მოსწონს თამთა გოგუაძეს?

ეკა, 20 წლის



თამთა: – ჩემზე ოდნავ მაღალი მაინც უნდა იყოს, აუცილებელია იყოს მამაკაცური, ძალიან ყურადღებიანი, კარგი ადამიანი და როგორც გარეგნობაში ისევე ხასიათშიც უნდა ჰქონდეს რაღაც ისეთი, რითაც დამაინტერესებს. რა ფერებში იქნება, ამას არ ვანიჭებ არანაირ მნიშვნელობას. უნდა ჰქონდეს იუმორი და მის გვერდით თავს ყოველთვის ბედნიერად უნდა ვგრძნობდე.

**რ**ოდის და რატომ მიდის ქეთა მოსკოვში?

ნინაკა, 15 წლის



– ქეთა მოსკოვში თებერვალში მიდის ნოდარ ნიკოლაიშვილის შემოქმედებით საღამოზე, რომელიც Россия-ში გაიმართება.

**ჰ**ყავს თუ არა ძმა მამუკა ონაშვილს?

გიორგი, 16 წლის



მამუკა: – მე ძმა არ მყავს, მყავს ორი და – უფროსი მაია და უმცროსი – მარიკა.

**ა**ტარებს თუ არა მერაბი ჯვარს?

ნათია, 15 წლის, ქუთაისი



მერაბი: – რა თქმა უნდა, ჯვარს ვატარებ.

**რ**ა საჭმელი უყვარს კახა კუხიანიძეს?

ნატა, 17 წლის



კახა: – ძალიან მიყვარს ფენოვანი ხაჭაპური, ინსტიტუტში დასვენებაზე სულ ხაჭაპურს გეახლებით.

**რ**ამდენი წლისაა ლაშა კუკულაძე?



– ლაშა 18 წლისაა.

**რ**ა მარკის მანქანა ჰყავს დათო ხუჯაძეს?

გირშელი, 12 წლის



– დათოს ჰყავს მუქი ფერის BMW

**რ**ა სუნამოს ხმარობს ნინო კუტალაძე?



– ნინო ამჟამად ხმარობს როშას „აკვა-ვუმენს“, საერთოდ კი ყველა იმ სუნამოს, რასაც ჩუქნიან.

## ეროტიული ბიბლიოთეკა



* თურმე ლელა აკვირდება პატარა მარიკოს, როდესაც ტელევიზიით მისი სიმღერა გადის. დედას აინტერესებს, რა რეაქცია ექნება ქალიშვილს, როცა დედიკოს დიდ შავ ყუთშიც დაინახავს, მაგრამ მარიკო ჯერჯერობით ვერ აკეთებს მსგავსებას. იგი ხომ ჯერ ერთი წლისაც არ არის.



* თურმე თიკა ფაცაციას კლიპში („არ გაჩერდე“) მონაწილე პატარა დალმატინელი, ისე დასხივებულა გადაღებების დროს, რომ საცოდავი ცუდად გამხდარა და გადასხმები დასჭირვებია. შესაძლოა გამოჯანსაღებულმა ძაღლმა სხვა კლიპში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს.



* იცით თუ არა, რომ ქეთას მოხდენილი შავი კაბა კლიპში „ღამე გადის“ გადაღებისას მოულოდნელად ნელ-ნელა გარღვეულა. კაბა, ქეთას დიზაინერმა – ტატუნა ნიკოლაიშვილმა, პირდაპირ გადასაღებ მოედანზე მიუტანა, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ იგი ვიწრო აღმოჩნდა. აბა, თურმე ასეც ხდება.

## ჭრულა ჭრულა ამბები



* თურმე, ნუ იკითხავთ და „ვამღერებ გულის“ კლიპის გადასაღებად მიმავალი თამთა გოგუაძე მანქანაში ნიკა ლომიძეს ცუდად გაუხდა. ბულაჩაურის გზაზე, გულწასულ თამთას ათასნაირი ხერხებით ასულიერებდა ნიკუშა. მოკლედ, იმდენი იმღერა თამთამ ვამღერებ გულსო, რომ გულიც წაუვიდა.



* სტეფანეს ახალი კლიპისთვის ისე გაჭირვებიათ წითელი როიალის შოვნა, რომ ნებისყოფა ძლივსღა შერჩენიათ. ბოლოს გამოჩენილა ვიღაც დალოცვილი, რომელსაც უთხოვებია ეს უმშვენიერესი მუსიკალური ინსტრუმენტი. თურმე გადაღებისას, როდესაც სტეფანეს გრიმს უკეთებდნენ, პარფიუმერული ნაწარმი დაუღვრიათ როიალზე. ეს შემთხვევით დაუნახავს პიროვნებას, რომელსაც თავის თავზე აუღია როიალის ზედამხედველობა. იგი ისე განაწყენებულა, რომ კინაღამ მომენტალურად უკან წაუღია ინსტრუმენტი.



* თურმე თიკა ჯამბურიას „ჯეირანის“ გადაღებისას წყლის პირას ძვრებოდა ის გრძელი ფახულა წამწამები და წყალში უცვივდებოდა. მერე გადამღები ჯგუფი მისდევდა მცურავ წამწამებს და დაიჭერდნენ თუ არა, იწყებოდა მათი დაწებება და ახალი დუბლის გადაღება.

# წერილი ჩემს სიცოცხლეს, უმშვენიერეს ლელა წურწუმიას!



მოგესალმებით ძვირფასო „ოსკარელებო!“ დიდი მადლობა ასეთი ფასდაუდებელი საჩუქრისთვის, რასაც ახალი ჟურნალის „ფანკლუბი“-ს დაარსება ჰქვია. ძალიან კარგები ხართ! მართლა გიყვართ თქვენი მკითხველები, ზრუნავთ მათზე, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საუკეთესო ჟურნალი გაქვთ (როგორც ინფორმაციულად, ისე პოლიგრაფიულად) საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივი გაქვთ. მჯერა, ამ დამატებით თქვენს ერთგულ მკითხველთა უზარმაზარ არმიას, კიდევ ბევრი შეემატება. თქვენ უამრავ ადამიანს აბედნიერებთ! დიდი მადლობა ამისათვის. ღმერთი გადაგიხდით სიკეთეს. ახლა კი, მგონი დროა გადავიდე ჩემს წერილზე, რომელიც ჩემს სიყვარულს ლელა წურწუმიას ეძღვნება!

ლელა, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სიხარულო, ძალიან მიყვარხარ! შენ ყველაზე, ყველაზე, ყველაზე კარგი ხარ! მიყვარხარ მთელი ჩემი არსებით, ამქვეყნად ყველაზე მეტად! შენ არ იცი რაოდენ დიდი ბედნიერებაა ჩემთვის, რომ მაქვს იმის საშუალება (ჩემი ძვირფასი „ოსკარის“ მეშვეობით) პირადად გითხრა ეს სიტყვები. შენ უამრავი ადამიანის ცხოვრების აზრი და ერთადერთი გზის მანათობელი ვარსკვლავი ხარ! რაც მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რომელთა შორისაც ჭეშმარიტად ღირსეული ადგილი გიკავია. საოცარი ხარ ლელა! არაამქვეყნიურად მშვენიერი და საყვარელი! „ღვთიურად ლამაზ სხეულში, ღვთიურად ლამაზი სული გაქვს!“ ვიცი, ეს შენთვის უბრალო სიტყვებია. მე არ ვარ რუსთაველი, რომ შენი ბრწყინვალების აღწერა გავბედო. ლელა შენ რომ XII საუკუნეში გეცხოვრა ან შოთას XXI ს-ში, მწამს „ვეფხისტყაოსანი“ შენს სილამაზეზე ამღერდებოდა. შენი სიყვარულით შთაგონებული დაწერდა შოთა რუსთაველი ამ უკვდავ სილამაზეს.

მიყვარხარ ლელა! გაღმერთებ! კალამს არ ძალუძს, ენა ვერ იტყვის თუ რა დიდ და ლამაზ გრძნობას იტევს ჩემი გული. შენ მე სიყვარული მასწავლე! დიდი მადლობა ამისთვის! ჩემო სიცოცხლევ, მე საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი, შენი მონა ვარ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით! შენით თენდება და შენით ღამდება. წამი არ არის ჩემს ცხოვრებაში უშენოდ და მე ბედნიერი ვარ, რომ ეს ასეა.

ჩემო ერთადერთო! შენ შემოგევლე „შორით თავს გიხრი და შორით გესალმები“. ყოველთვის დიდი სიყვარულით გეტყვით: „ლელა, მე შენ ძალიან მიყვარხარ!“ (მხოლოდ ისე, რომ ამით არ შეგაწუხო, ჩემო ლამაზო, რადგან ჩემს სიყვარულს არ ძალუძს თავი მოგაბეზროს).

დაგვიანებით გილოცავ ყველა დღესასწაულს, გისურვებ ამქვეყნად ყოველივე ლამაზს და მშვენიერს. დაესწარი მრავალს შენს ქმარ-შვილთან ერთად. ღმერთი გფარავდეს ჩემო გულის [illegible] შენ ბედნიერებას ანიჭებს შენ მილიონ თაყვანისმცემელს. გკოცნი ძალიან ბევრს და გულში ვიკლავ იმ უზარმაზარ მონატრებას, რასაც შენდამი განვიცდი...

ლექსის დაწერა მე
გადავწყვიტე,
ერთხელ ზამთარში,
თოვლიან ღამით.
ლოდინით დაღლილს
ესღა მრჩებოდა,
ამეწყო რითმი საშველად
დარდის.
ძილგატეხილი, ღამენათევი,
ავანთებ სანთელს,
დავჯდები დავწერ,
ლექსებს, რომელნიც
მხოლოდ შენზეა,
იცოდე მე სხვას ვერ
შევიყვარებ.
ამ დროს გაისმის სიმღერა
შენი,
ნეტარი როგორც
საგალობელი,
მიყვარხარ, ჩემო
სიცოცხლევ შენ ხარ
იმედი, ფიქრი, ჩემი
საშველი.
ყოველი ღამე შენით ილევა,
ვარ დაჩოქილი მე შენს
სურათთან,
ალერსის შენის მე ნატრული
ვარ
რატომ არ ვიცი, მე ხომ
მიყვარხარ?!
ხატი ხარ ჩემი, ოცნებავ
ჩემო,
არავინ მინდა შენს გარდა
ქვეყნად
როგორ მიყვარხარ, ო,
როგორ მინდა
შენ იყო ჩემი, მე ვიყო
შენთან!!!

შენი მონა-მორჩილი
**ნატო მაისურაძე, 14 წლის**



* „ოსკარიდან“ შეიტყობდით, რომ ყველასათვის საყვარელი კომპოზიტორი ლილიკო ნემსაძე ახალ წელს პარიზში შეხვდა. ერთხელ ქუჩაში სეირნობისას, პატარა ზანგი ბავშვი ლილიკოსკენ გამოწეულა, ხელში ამიყვანეო. კომპოზიტორს „შავტუხა“ პაწია ხელში აუყვანია და მიალერსებია. ბავშვი ისე თბილად ჩაკვრია, რომ დედამისს ძლივს მოუშორებია ლილიკოსთვის თავისი შვილი.



* თურმე მსახიობი ეკა კახიანი ავთო ცქვიტინიძის სალონში დიდი სიამოვნებით დადის. ერთხელაც, იქ შესულს, ლურჯი სოლიდური კაბა შეუნიშნავს. რომ გაუსინჯავს, აღმოჩნდა, რომ კაბა ზუსტად ეკას ტანზე „იჯდა“. შემდეგ ეს კაბა მსახიობმა შარშანდელ საახალწლო გადაღებაზე ჩაიცვა და ყველასგან ერთი შეფასება მიიღო, ეს კაბა შენს ტანზეა შეკერილიო.

# „მე შენ მიყვარხარ, უიმედოდ, უხმოდ, უთქმელად...“

## ზურა ხარიძეს

წერილები



გამარჯობა ძვირფასო „ოსკარელებო“. პირველ რიგში მოგვიანებით გილოცავთ 2003 წლის დადგომას, ეს წელი თქვენთვის ბედნიერი ყოფილიყოს. ახლა მინდა ჩემს ზურას მივმართო პატარა, მაგრამ ლამაზი სიტყვით.

ზურა მე შენ ძალიან მიყვარხარ, „მინდა გიყვარდე“, მაგრამ ეს მეტისმეტია. შენზე ფიქრი დაემსგავსა „ოცნებას შენზე“. არ დამავიწყდება 10 ივნისის კონცერტის „ლამაზი ღამე“, როდესაც ახლოს გნახე, ისიც რამდენიმე წამით, მაგრამ ეს ჩემთვის „გამარჯვების დღე“ იყო. იცოდე, რომ ჭირშიც და ლხინშიც „შენთან ვიქნები“. მე „გეტყვით ერთს“, რომ ძალიან მიყვარხარ და მეყვარები დიდხანს, თუნდაც გავიდეს „2000“ წელი.

„დაღამდა“ და ისევ მენვია „სიზმარი“, რომელშიც „გელოდები შენ“.

ჩემთვის მაქვს შექმნილი „ოცნების სამყარო“ და ამ სამყაროში შენ გიჭირავს უდიდესი ადგილი. შენზე ფიქრი, ოცნება აი „ეს არის სიყვარული“, ამ სიყვარულს კი ვუფრთხილდები უძლიერესად.

„მე ყველაფერი ცისფერი
მიყვარს,
ცაც ცისფერია, ზღვაც
ცისფერია
მაგრამ მე შენი თვალები
მიყვარს,
და ეს თვალები
თაფლისფერია“.
„შენს გარდა ძვირფასო
არავინ მყოლია
სიყვარულს დავარქვი მე
შენი სახელი,
შენს გარდა ოცნება მე არ
მქონია
შენ ჩემი ცხოვრების შუქი
ხარ ნათელი“.

დიდი მადლობა „ოსკარს“

P.S. გთხოვთ ეს წერილი „ქუჩის ბიჭების“ პლაკატთან ერთად გამოუშვათ.

ზურას დიდი სიყვარულით
**ნინო, 16 წლის**

# „ქეთა თოფურიას“ — დიდი სიყვარულით

## „ბედნიერი ვარ, რომ ძალა შემწევს, რათა გაგხადო შენც ბედნიერი“

პირველ რიგში მოვიკითხავ „ოსკარის“ რედაქციას და ჩემს უსაყვარლეს მეგობარს თამუნა გონგაძეს. თამუნა ძალიან, ძალიან მიყვარხარ. ყოველთვის გქონდეს ჩემი იმედი და იცოდე, რომ ყოველთვის შენს გვერდში ვიქნები. ახლა კი მინდა წერილობით გავესაუბრო ჩემს ულამაზეს და უმშვენიერეს დედოფალს,



ქეთა თოფურიას. ქეთა ძალიან მენატრები და ძალიან მიყვარხარ, აღარ შემიძლია უშენოდ ცხოვრება, სულ შენზე ვფიქრობ და ვოცნებობ. დამიჯერე ძალიან მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად, ერთადერთი ადამიანი დადის ამქვეყანაზე, რომელსაც სიგიჟემდე უყვარხარ და ის ერთი მე ვარ, უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია, ძალიან მენატრები, რა ვქნა როგორ მოვიქცე არ ვიცი. შენ ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხარ და იქნები სანამ მე ვიცოცხლებ ამ ქვეყანაზე. ქეთა გთხოვ მირჩიე რამე, თორემ შეიძლება ერთ დღეს თავიც კი მოვიკლა, იმიტომ რომ მე უკვე აღარ შემიძლია უშენოდ ცხოვრება. ერთი რამე დაიმახსოვრე: დაგელოდები მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე. მიყვარხარ, გკოცნი, გეფერები და გეხვევი.



„ყოველ ღამე, როცა ვწვები
და მევსება გული სევდით,
არ მშორდება შენზე ფიქრი
და მას მოსდევს მერე ცრემლი.
ვერ გივიწყებ, ვერ გშორდები
უშენობას ვერ ავიტან,
მე უშენოდ ველარა ვძლებ
და ამას ვერ გადავიტან.
დამიბრუნდი გევედრები
ნუ დამტოვებ ობლად, მარტო,
შენზე ფიქრებს ველარ
ვუძლებ
გავგიჟდები ასე მარტო.
გამაგიჟებს სიმარტოვე,
გამაგიჟებს თეთრი ღამე,
გამაგიჟებს უშენობა,
გამაგიჟებ ალბათ მალე!“

**ფიცხელაური ზურა,**
**16 წლის**

## ჭორულა ჭორულა ჭორები



* როგორც იცით, დათო ხუჯაძის მეორე სოლო კონცერტზე, მომღერალი მერსედეს-კაბრიოლეტით შემოვიდა სცენაზე. მანქანა ხათუნა ჟორდანიას ეკუთვნოდა, რომელსაც მომღერალმა უთხრა, თუ სცენაზე აყვანისას დავაზიანებ კაბრიოლეტს, „რენოს“ გიყიდიო. მანქანით შემოსვლის იდეა ნატო დუმბაძეს ეკუთვნოდა, რომელიც წამდაუწუმ რეკავდა სპორტის სასახლეში და დიზაინს უცვლიდა სცენას.



* თურმე თამთა ჭელიძესთან გადასაღებ მოედანზე სტილისტი საშა ლაჟოლი უამრავი პარიკით გამოცხადდა. მისი სურვილი იყო, მომღერალს ავანგარდული ვარცხნილობა ჰქონოდა. მაგრამ კლიპის რეჟისორებს დაუწუნებიათ საშას შემოთავაზებული პარიკები და შინიონები, მაგათში თამთას დიდი თავი უჩანსო. ასე რომ, ცოტათი განაწყენებული საშა იმედგაცრუებული დარჩენილა.



* “ნუკა” ის-ის იყო თავისი ახალი კლიპის დამონტაჟების პროცესის სანახავად შესულა, რომ მუცლის არეში მწვავე ტკივილი უგრძვნია. როგორც გაირკვა, გოგონას ბრმა ნაწლავის შეტევა ჰქონია. რა უნდა ექნათ, სასწრაფოდ გააქანეს და ოპერაცია გაუკეთეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭრელა ჭრელა ამბები



* თურმე სალომე გასვიანის
წყლის კადრებს რომ იღებდნენ,
ოპერატორ ლევან აბულაძეს იმ-
დენი უცურავია და უყვინთია,
რომ სასტიკად დაღლილა. ერთ
მომენტში ამოყვინთვა დაუგვი-
ანებია და გადამღები ჯგუფი შე-
შინებულა, ხომ არ დაიხრჩოო,
მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა-
ფერი კარგად დასრულდა.



შეიძლება არ იცოდეთ, რომ
სტეფანეს ძირითადად მაკიაჟს
ლელა წურწუმია უკეთებს –
კლიპის გადაღება იქნება ეს თუ
საკონცერტო გამოსვლა. სტე-
ფანე ბოლომდე ენდობა მას,
მიტომაც ლელა მისი უცვლე-
ლი ვიზაჟისტია. ფაქტია, რომ
მომღერალს შესანიშნავად გა-
მოსდის ეს საქმე. ერთადერთი
კლიპი სადაც სტეფანეს ლელას
იერ გაკეთებული მაკიაჟი არა
აქვს, ეს არის მისი ბოლო ნამუ-
შევარი – „დიდხანს გელოდი“,
სადაც მომღერალს მაკიაჟი ვი-
ზაჟისტ მაკა კილაძემ გაუკეთა.

თურმე, "KBH"-შიკები ნუ
გკითხავთ და ერთ ბინაში ცხოვ-
რობენ. რადიო "101"-ის ხელ-
მძღვანელმა ასე გადაწყვიტა.
ამის მიზეზად ის დაასახელა,
რომ ბიჭები ერთად ყოფნით უფ-
რო ნაყოფიერად შექმნიან მათი
რადიოსთვის „არტებს“. ეს ცო-
ტა არ იყოს და გასაოცარი ფაქ-
ტია, რადგანაც ბიჭები ერთად
ცხოვრების გარეშეც არანაკლებ
საინტერესო და სასაცილო ხუმ-
რობებსა და „არტებს“ იგონებენ.

# ENRIQUE WITH LOVE

ენრიკე იგლესიასი
დაუვიწყარი ტრფიალი
მისადმი რასაც განვიცდი
ეს სიყვარული არ არის.

ეს არის რაღაც ძლიერი
და ფარხმალ დაუყარავი
აბჯარასხმული მხედარი
რომელიც მუდამ აქ არის.

მისი სიმღერის მოსმენა
ჩემი სიცოცხლის კარამდის
ენრიკე იგლესიასი ჩემი კერპია
მარადის.
მე მის სიმღერას რომ
ვუსმენ
მგონია თითქოს აქ არის.

დაუვიწყარი რამ არის
გმირის შესახებ დაწერა.
თუ არ გინდოდეს არ წავა
და თუკი წავა არ მოვა.

მაგრამ ერთი რამ არ ვიცი
ვერას დიდებით გავიგე
ნუთუ ჰყავს შეყვარებული
და ამ სიმღერებს მას უწერს?

ამ ლექსებისა წურასა
მერჩივნა არა მეწერა
ვითარც ენრიკე არ ნახავს
გულსა მომხვდება მწარეთა.

რას არ მივცემდი ოღონდაც
მას გული არა სტკენოდა
ჰქონოდა ბევრის იმედი
გაუმართლებდა ბოლოსა.

ენრიკე იგლესიასო
ენრიკე ჩემო ტრფიალო
ჩემო ბიჭუნავ ენრიკე
რა გიყო რა რიგ გაგიყო?

ძალიან მინდა გაგიცნო!
დაგეხმარო და გაგიგო!
მენატრები და ვლოცულობ,
ოღონდ ოდესმე გაგიცნო!

და ამ ლექსისთვის სიტყვები
მოდის თავისით მოფრინავს,
არც პოეტი ვარ მაგრამა
მეპოეტება შენთვისა.

მაგრამ მე მისი ხმა მიყვარს!
მე მიყვარს მისი ლანდები!


ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მისი გულის თქმა მიყვარს.
და სევდიანი ჰანგები.

სალი დავითაია

# დამთავრდა ღამე



დამთავრდა ღამე და დაილია ისევ სადღეგრძელო
დაიწვა, დადნა, ჩამოადნო სანთელი ცეცხლმა
მე ისევ მინდა, ყოველი წუთი მე ვადღეგრძელო
შენს წინ დაჩოქილმა, ინატრა წლებმაც.
მაგრამ გაჩერდა, თვალი დახუჭა ბევრმა მთვარემ
და თითქოს ისევ წარსულიდან შეხვედრას ითხოვს
შენთან შეხვედრა დიდ სცენაზე ინატრა ღამემ
ზის მაგიდასთან და თითეულ დღეებზე ფიქრობს.
ისევ ქარი და ისევ ზარი უჭირავს შენს ხმას
ისევ სიმღერა, შენი სიმღერა ამშვიდებს ტალღებს
დღეს კი მოხუცმა ხელი ჰკრა დარდს
თვალი დახუჭა შავ-თეთრმა ღამემ.
დამთავრდა ღამე და დაილია ისევ სადღეგრძელო
ისევ გაცოცხლდა ჩემს ხელებზე შენი სურათი
მე ისევ მინდა ყოველი წუთით შენ გადღეგრძელო
მუდამ გფარავდეს კვლავ ზეციდან ღმერთი, უფალი.

ალექსანდრე ლომოური

**რ**ოდის გამართავს ლელა თავის III სოლო კონცერტს?

ლელა, 15 წლის



ლელა: – სამომავლოდ, მანამ კი გეგმაშია ალბომის გამოშვება, რომლითაც დატრიალდება ის სიმღერები, რომლებიც კონცერტზე უნდა აჟღერდეს.

**მ**აინტერესებს ნეკას საყვარელი ნამცხვარი?

ქეთი, 17 წლის



ნეკა: – საერთოდ, ნამცხვრების დიდი მოყვარული არ ვარ, ხაჭაპური უფრო მიყვარს. ისე, უარს არ ვიტყოდი „იდეალსა“ და "ეკლერზე".

**ზ**ურა, გარეგნობას იცვლი, სოლო სიმღერაც ჩაწერე. ხომ არ აპირებ ჯგუფიდან წასვლას და სოლო კარიერის დაწყებას?

ანასტასია, 15 წლის



ზურა: – რატომაც არა, მაგრამ მანამ, სანამ ჯგუფი „ქუჩის ბიჭები“ იარსებებს, მე არსად წასვლას არ ვაპირებ.

# კითხვა-პასუხი

თუ აქვთ ზურასა და პაატას საყვარელი ამორჩემებული კლუბი.



ზურა: - მაინცდამაინც ერთი კლუბი არ მაქვს ამორჩემებული, საერთოდ კი თავს „სან-ტაფეში" ვგრძნობ კარგად.

პაატა: – განსაკუთრებულად „ჯოი" და ახალი კლუბი „აჭარა" მომწონს. სხვათა შორის, კარგი სიტუაციაა „აჭარაში". მინდა, ბევრი ასეთი კლუბი იყოს თბილისში.

როდის არის მერაბ სეფაშვილის დაბადების დღე?

ილონა ბერულავა, 15 წლის



– მერაბის დაბადების დღეა 15 ოქტომბერი.

ჰყავს თუ არა შეყვარებული თამთა გოგუაძეს?

თათია



თამთა: – არ მყავს, რომც მყავდეს, სახალხოდ ამის აფიშირებას არ დავიწყებ.

ტკბილეული თუ უყვარს ქეთა თოფურიას?

ნათია, 17 წლის



ქეთა: – ძალიან მიყვარს ტკბილეული და საერთოდ, სუსნია ვარ, მეცადინეობის დროს, სულ ვისუსნები.

სად მუშაობს თამთა გოგუაძის მამა და ჰყავს თუ არა მას და ან ძმა?

სოფო, 15 წლის



თამთა: – მამაჩემი ბიზნესმენია. მყავს და – თეა, რომლის წყალობითაც მარტში დეიდა გავხდები.

რითი ერთობა თიკა თავისუფალ დროს?



თიკა: – ვერთობი მეგობრებთან ერთად, ვუყურებ ტელევიზორს, ვთამაშობ კომპიუტერს, ვასეირნებ ძაღლს სახელად „სადის", რომელიც ძალიან მაბრაზებს.

მაინტერესებს, რა წიგნები უყვარს ნეკა სებისკვერაძეს?

გია, 18 წლის



ნეკა: - ძალიან მიყვარს მარკესის შემოქმედება, საყვარელი წიგნებია — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", „პატარა უფლისწული" და კიდევ უამრავი წიგნი, უფრო მეტად რომანები.

რომელი მსახიობები უყვარს მამუკას?



მამუკა: – ქალებიდან მიყვარს ეკა კახიანი და გოგოლა კალანდაძე, მამაკაცებიდან ზურა ყიფშიძე.

აპირებს თუ არა ლელა წურწუმია ზაზა ორაშვილთან კლიპის გადაღებას?

მანონი, 20 წლის



– ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სიმღერა იქნება და როგორ დაიგეგმება მისი გადაღება.

## ჭორულა ჭორულა ამბები



ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ნინი ქარსელაძე არდადეგებზე გუდაურში ისვენებდა, მაგრამ სანამ იქ წავიდოდა ერთი ცოტა არ იყოს კურიოზული ისტორია გადახდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ გოგონამ, რომელიც დილის 9 სთ-ზე უნდა გამგზავრებულიყო გუდაურში წინა ღამით შეატყობინა დედას, რომ მისი "ბოტები" დახეული იყო. ამით შოკირებულმა ხათუნამ სულ დაიარა თბილისის ფეხსაცმელების „ბუტიკები", მაგრამ უშედეგოდ, ყველა დაკეტილი დახვდა. ამიტომაც მეორე დილით უყურადღებო ქალიშვილს ჩანთაში „ბასანოჟკები" და საშემოდგომო ფეხსაცმელები ჩაუყარა.



რას არ გაიგებს ადამიანი. როგორც იქნა „ქუჩის ბიჭები" მანქანებით დაჰქრიან თბილისის ქუჩებში, მაგრამ რად გინდა – ხან ერთი დაარღვევს მოძრაობის წესებს და შეასკდება რაღაცას, ხან მეორე. ჯგუფის ერთადერთი წევრი, რომლის მანქანაც წყობიდან არ გამოსულა ეს გურამ ლომიძეა. ეტყობა იგი კარგი მძღოლია ან სულაც პედანტია და საოცრად ფაქიზად უვლის მანქანას. რამ დათარსა ბიჭები ნამდვილად ვერ გეტყვით, ერთი კი ფაქტია, მათი მანქანები პირვანდელ სახეს ნელნელა კარგავენ.

– უიმე, უიმე რახან ამ გაზეთის გამოსვლას მევესწარი, აღარ დევეძებ ნავთობსადენის გავლას ბორჯომის ტერიტორიაზე. ანი რაღა მომკლავს მე?! იმფერ ჭორებს მოგაწვდით და ისე ოპერატიულად, რომ ინატრებთ, ნეტა დეიდა ვასასისნაირად მუშაობდნენ ჩვენი ძალოვნებიო. იმის იმედი ქე მაქვს, რომ არ მომთხოვთ იმის დასაბუთებას, საიდან მეიტანა ამ ენაჭარტალა ქალმა ასეთი ჭორებიო. რომც მომთხოვოთ, მაგის გაგებას ვერ ეღირსებით. ამიტომაც ისღა დაგრჩენიათ, ხუთშაბათობით ჩოუსაფრდეთ ამ დალოცვილ გაზეთს და გეიგოთ, რა ხდება ამ ქვეყანაზე.

თურმე, ყველაზე უფროსი „ქუჩის ბიჭი" პაატა ბოლო დროს ხშირად შეინიშნება თსუ-ს ტერიტორიაზე. როგორც გევიგე, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ერთ სტუდენტს ეტრფის. გოგონას „გუნდას" ეძახიან. რას არ დაირქმევენ დღევანდელი გოგოები, „გუნდა" ქალის სახელი აღარ გამიგია. ჰოდა, ნუ მკითხავთ და ეს ჩვენი „პატრიკა" თურმე დაადგება ლექ-



ციების დროს თავზე ამ გოგოს და ისე აცდენინებს, ვითომც "ნუცას სკოლა" იყოს ამხელა უნივერსიტეტი. ახლა, ვგრძნობ, რომ ისიც გაინტერესებთ, სად ატარებენ დროს ახალგაზრდები. მაგასაც გეტყვით. აბა, ვასასი რისი ვასასია, ეგ რომ არ გაიგოს, თურმე პაატა და „გუნდა" რესტორან „ბავარიის" ხშირი სტუმრები არიან. ლოგიკას თუ მეიშველიებთ ქე მიხვდებით, რომ „ბავარიაში" შემსვლელი ლუდს დალევს

# დეიდა ვასასის ჭორები



ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებლად, აქედან კი დასკვნა, „ქუჩის ბიჭი" ლუდის მოყვარულია. ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი, კაცი არა უშავს, მარა ქალი რომ „პივის ბაკალს" მეიყუდებს პირზე, იგი რავა უნდა შემოუშვა სახლში! არ დამცინოთ ახლა!

***

„პომპონში" ერთხელ მაინც თუ არ შესულხართ, "ვიტრინასთან" ერთი მეტრის დაშო-



რებით მაინც ჩაგივლიდით, ალბათ. ისიც ქე გეცოდინებათ, ვის ეკუთვნის ასეთი „ძვირიანი" მაღაზია. იგი ჩვენი აჩიკო მეფარიძისაა. „იტალიანსკი" ტანსაცმელები ისეა „გამოშტრიმული" "ვიტრინებში", რომ ფეხი წეგერთმევა მის შემხედვარეს. ან საიდან აქვს ამ დალოცვილს ასეთი გემოვნება, ან როგორ არჩევს ამფერ დახვეწილ ტანსაცმელს, გაგიჟდება კაცი?! ახლა, თქვენმა ვასასიმ ის გაიგოთ, რომ თურმე მომღერალი ორი ახალი მაღაზიის გახსნას აპირებს. ერთში მთლიანად ფრანგული ტანსაცმელი გაიყიდება, მეორე კი ავსტრიული საქონლით იქნება „დაძეძგილი". ისიც კი გევიგე, თითქოს ხშირ-ხშირად ექნება აჩიკოს „სალე-სალეები", 50% ფასდაკლებები. ეს კი არ ვიცი რას ნიშნავს, მარა ვიცი, რომ მოდური სიტყვაა და მეც ვხმარობ.

***

ისე მიყვარს დიდი მორისის ლექსები, ისე მიყვარს, რომ სულ მბურძგლავს და ხერხემალზე ძვლები მიტკაცუნებს მისი ლექსების წაკითხვისას. აცხონოს ღმერთმა მისი სული. ქალიშვილებიც რაფერი სასახელოები ჰყავს. ბასა ფოცხიშვილი კაი რეჟისორია, ვიცი, მარა რაღაცნაირი კლიპები აქვს, უცნაური... სულ თვალებგაშტერებული მივჩერებივარ მის კლიპებს, რაიმე არ გამომეპაროს-მეთქი, მარა მაინც ვერ ვგებულობ მის რეჟისურას, ვასასი შემოგევლოთ. ჰოდა, იმის თქმა მინდოდა, ბასას უცნაურ ჩაცმულობას ბაძავს თურმე ერთი მისი მეზობლის გოგონა და ნუ მეიკითხავთ



რას უშვრება! ხან დედამისის კაბები გადაჭრა ჭიპამდე, ხან მამამისის „პულოვერებს" დააჭრა მკლავები და ისე უცნაურად დეიხლართავს ხოლმე ამ ნაჭრებად ამოჭრილ ტანსაცმელს ტანზე, ვერ მიხვდები ბავშვი წალმა მოდის თუ უკუღმა. ღმერთო, შენ გადამარჩინე ამ გაუკუღმართებულ ახალგაზრდობას.

***

ნინის ახალი კლიპი ქე გექნებათ უკვე ნანახი. იქ "დუტა" ისე მომხიბვლელად იკლაკნება, ქე გამირბის მისკენ თვალი. უხერხულია, მარა, ხომ იცით, თვალი რა ხარბია. ეს ბებერი ქალი წერას ვყავვარ ალბათ, აყვანილი. ჰოდა, ვასასი შემოგევლოთ, "დუტა" „რუსთავი 2"-ის საახალწლო ჰიმნის ჩაწერაზე ისე უვარჯიშებია რუსა მორჩილაძეს, რომ მსახიობი ახლა ისთე მღერის, რომ



ფონოგრამის აკრძალვას სასწრაფოდ მოითხოვთ მისი მსმენელი. ნინის ისე მოსწონებია "დუტა", როგორც პარტნიორი, რომ მასთან ერთად დუეტის ჩაწერა გადაუწყვეტია. დუეტი რომ უნაკლო გამოვა, ამაზე ჩემი ჩიფჩიფი არ გესაჭიროებათ. ეს უსაყვარლესი გოგონა ისთე შეწყობია მსახიობს, რომ სულ „დუტიკო-დუტიკოს" ეძახდა თურმე. მართლა, რა საყვარელია ეს ნინი, ისეთი ბავშვური და სიცოცხლის მოყვარულია, რომ მისი შემხედვარე სულ კუნტრუშ-კუნტრუშით ვმღერი მის სიმღერებს.



# კითხვა-პასუხი

**რ**ა ჰქვია Pink-ს სინამდვილეში?



– Pink-ის ნამდვილი სახელი და გვარია ალისია მური.

**რ**ოდის გაიმართება JLO-სა და ბენ აფლეკის ქორწილი?



– ქორწილის თარიღი ცნობილი არ არის, რადგან წყვილს უთანხმოება აქვს. ბენს სასიძოდ ჯენიფერის დედა იწუნებს, JLO-ს კი აფლეკის ბავშვობის მეგობარი მეთ დეიმონი.

**რ**ომელია ბრიტნი სფირსის საყვარელი კერძი?



– საერთოდ ბრიტნი უპირატესობას სამხრეთულ სამზარეულოს ანიჭებს. მისი საყვარელი კერძია შემწვარი იხვი სოკოთი.

**რ**ამდენი წლის არის ჯულია რობერტსი?



– ჯულია რობერტსი დაიბადა 1967 წლის 28 ოქტომბერს.

**მ**აინტერესებს სად და როდის დაიბადა ბენ აფლეკი.



– ბენ აფლეკი დაიბადა 1972 წლის 15 აგვისტოს, ქალაქ ბერკლიში (კალიფორნია).

**ვ**ისთან ცხოვრობს ემინემის ქალიშვილი ჰეილი?



– ჰეილი დედასთან კიმთან ერთად ცხოვრობს, თუმცა მამასთან ერთადაც დიდ დროს ატარებს. მამა-შვილს შესანიშნავი ურთიერთობა აქვს.

**რ**ომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ არის დაბადებული ანჯელინა ჯოლი?



– ანჯელინა დაბადებულია 4 ივნისს, ანუ ზოდიაქოს ნიშნით არის ტყუპები.

**ვ**ინ არის ლეონარდო დიკაპრიოს ამჟამინდელი გელფრენდი?



– ახლა ლეონარდო კამერონ დიასს ხვდება.

**რ**ამდენი და-ძმა ჰყავს ენრიკე იგლესიასს?



– ექვსი. ესენი არიან: ჩაბელი, ანა, ტამარა, ხულიო ჯუნიორი, ალეხანდრო და როდრიგო.

**ვ**ინ იყო დარენ ჰეისის პირველი ცოლი?

– კოლბი ტეილორი.

## ცხელი ცხელი ამბები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტინა აგილერა ბოლო კლიპის „Dirty“-ს გადაღებისას ავად გახდა და გადაღების პროცესიც მის გარეშე გაგრძელდა. ანუ კლიპმეიქერებმა შემთხვევით ისარგებლეს და მომღერლის არყოფნის დროს მისი პარტნიორის Redman-ის კადრები გადაიღეს. რაც შეეხება ქრისტინას, მას რამდენიმე კადრის გადაღება წვიმაში მოუხდა და მისი გაციების მიზეზიც ეს გახდა.



ჯენიფერ ლოპესმა ბოლო ნამუშევარის „Jenny From The Block“-ის გადაღებისას ფეხი იღრძო, მომღერალს ჩვეული „ისტერიკა" რომ არ აეტეხა, მას დასამშვიდებლად თავისი პატარა ძაღლი მიუყვანეს. რაც შეეხება ბენ აფლეკს მან თქვა, რომ მუსიკალურ კლიპში მონაწილეობას ალარასოდეს მიიღებს, რადგან ეს ძალიან დამღლელი პროცესია.



ექს Spice Girls-ელი ჯერი ჰოლიველი უკვე დიდი ხანია ცდილობს, რომ რაიმე საინტერესო როლი ჩაიგდოს ხელში, მაგრამ მისი პარტნიორობა არავის არ სურს მათ შორის არც ჰიუ გრანტს და კიანუ რივზს. აი ასე, საბრალო ჯერის ურჩევნია ისევ სასიმღერო კარიერას მიხედოს და ახალი ალბომი გამოუშვას, რადგან მას სამსახიობო კარიერის გაკეთება ნამდვილად არ უწერია.

ელექტრონული ბიბლიოთეკა





ერთგვარი გულიანი ნამცხვარი

„მახინჯი ვარ" — შემსრ.

თევზის „ქალი"

მუს.ნოტი

იაღქანი ანუ

მხედველობის ორგანო

ჩიტის „სახლი"

ხეკაკუნა ფრინველი

... გიორგობიანი

„... მუშკეტერი"

„არ გაჩერდე" — მომღ.

ცხენის ჯოგი

ვაქიშვილი

გველის სახეობა

ქართ. პოეტი ... ასათიანი





ბრიტნის ყოფილი შეყვარებ.

ღამის ფრინველი

ქართველი რეპერი

საბავშვო ჟურნალი

„მაესტროს" წამყვანი

... აფლეკი

ხათუნა ჟორდანიას შვილი

თბილისის ერთ-ერთი უბანი

რუსი მომღერალი

ერთგვარი კანფეტი

„სტეისის" ერთ-ერთი წევრი

ბუნებრივი სალებავი

უკრაინის დედაქალაქი

„მოამბის" ყოფილი წამყვანი

მომღერ. თემო...

დროშა ანუ

„პირლია" ფრინველი

მერქნიანი მცენარე

პამელა ანდერსონ ...

დათვის ნაშიერი

... იმბრუგლია

ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული

გალაქტიონის ლექსი

სპილოს „ცხვირი"

ცქვიტინიძის მუზა

ქართ. ჯგუფი

მზის ღმერთი ეგვ.მით.

... გარეჩილაძე

გასაჩუმებელი სიტყვა





გიტარის ლარი

კომში ანუ

გეომეტრიული ფიგურა

მტაცებელი ფრინველი

ქორბუდა ცხოველი

მოუხარშავი

„ლურჯთვალა" ყვავილი

ფქვილის და წყლის ნაერთი

ჭადრაკის ფიგურა

ერთ-ერთი ზოდიაქოს ნიშანი

იგლესიასის სიმღერა

... ხუციშვილი

შინაური ფრინველი

ერთ-ერთი კავშირი





ნელი ქარი

მზის ამოსვლა

ქართული ჟურნალი

ჟამი

კედლის ჭაღი

მდინარე რუსეთში

დო ... მი

ჩოჩორი „ვინიპუხიდან"

ენაჩლუნგი

ერთგვარი ვარცხნილობა

ქიმიური ელემენტი

# ანეკდოტები

დღეს ავტობუსში მოხუცს ადგილი დავუთმე.
– როგორ მოიფიქრე?
– ავტობუსი გაფუჭდა.

* * *

**სტიუარდესა – თვითმფრინავში ექიმი ხომ არ არის ვინმე?**
**ერთ– ერთი მგზავრი დგება და შედის პილოტის კაბინაში. 2 წთ-ის შემდეგ:**
**– თვითმფრინავში პილოტი ხომ არ არის ვინმე?**

* * *

– გუშინ ჩემს დანგრეულ პიანინოში ახალთახალი მანქანა გამიცვალეს.
– და ვინ იყო ის იდიოტი?
– ჩემი კედლის მეზობელი!

* * *

**– ჩემმა მეზობელმა იმისათვის, რომ მშვიდად დაეძინა, ბულტერიერი იყიდა.**
**– მერე?**
**– იძინე მშვიდად, ჩემო მეზობელო!**

* * *

– ქმარი სახლში მთვრალი ბრუნდება, ცოლი იწყებს მის ლანძღვას.
– შე საზიზღარო! დამპალო! ოხერო!
ყვირილზე მეორე ოთახიდან გამოტანტალდება პატარა ბავშვი.
– დედა, მე მეძახი?

* * *

**– როგორი კბილები აქვს თქვენს ცოლს?**
**– არ ვიცი! ჯერ არ უკბენია!**

* * *

– გაიგე? ზურას ცოლი სახლიდან გაუგდია!
– რატომ?
– ზანგი ბავშვი შეეძინათ.
– ფუ! რასისტი!

* * *

**– ექიმო, ამ ბოლო დროს ძალიან ადვილად ვფსიხდები.**
**– რაო, რა მითხარით?**
**– ჰა, ახლა, არ გამაფსიხო!!!**

* * *

ოსი ქუჩაში მიდის, დაიხედა ძირს, პატარა ოთხკუთხედი სარკე აგდია.
– სენი წილიმე, ასეთ ცუდ სურათს მეც გადავაგდებდი.

* * *

**ორმა ოსმა სამი ყუმბარა იპოვა. გადაწყვიტეს შტაბში მიეტანათ.**
**– ფრთხილად, არ აგიფეთქდეს, – ეუბნება ერთი.**
**– მერე რა, ორი ხომ დაგვრჩება?**

* * *

– ოპერაციის შემდეგ სანიტარი გაგზომავს, – ეუბნება ქირურგი მიხოს.
– ოპერაციის მერე გაზომვა რად მინდა?
– აბა, კუბო არ გინდა, ბოშო?

* * *

**– სად მუშაობ?**
**– ქუჩაში, გამყიდველად...**
**– აგაშენა ღმერთმა, რა ღირს ახლა ერთი მეტრი ქუჩა?**

* * *

ცოლი: ხვალ ჩვენი ქორწინების ხუთი წლისთავია, ქათამი დავკლათ.
ქმარი: კაი, ერთი, ქათამმა რაღა დააშავა?!

* * *

**– აირჩიე: ან ორი წელი ციხე, ან 2000 დოლარი, – ეუბნება მოსამართლე პატიმარს.**
– ფული მერჩივნა, უფროსო.

* * *

დიალოგი სადგურის ბუფეტში:
– რატომაა თქვენთან ასეთი ცოტა ულუფა?
– ულუფა რომ მეტი იყოს, მგზავრებს შეიძლება მატარებელზე დააგვიანდეთ.

* * *

**– იცი, გუშინ მიხო მეთორმეტე სართულიდან გადმოვარდნილა!**
**– არ გამაგიჟო! რა მოტივით?**
**– რომელი მოტივი!**
**– უხმოდ ვარდებოდა!**

* * *

– ჯონ, რატომ ხარ ასეთი მოწყენილი?
– ხვალ ჩემს საცოლეს ათხოვებენ...
– როგორ თუ ათხოვებენ?! ვისზე?!
– ჩემზე...

# სკანვორდი



# სკანვორდი




ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი "ფან-კლუბი" საშუალებას გაძლევთ პირისპირ შეხვდეთ თქვენს საყვარელ მომღერალს. ამისათვის საჭიროა შეაგროვოთ ის ბარათები, რომელსაც ჩვენი გაზეთი პერიოდულად გამოაქვეყნებს და ის, ვინც შეაგროვებს ციფრებს 1, 2, 3, 4 და მიიღებს მონაწილეობას გათამაშებაში, რომლის პირობებიც გამოქვეყნდება გაზეთ "ფან-კლუბის" მე-4 ნომერში. გამარჯვებული დასაჩუქრდება ბილეთით, რომლის საშუალებითაც იგი პირისპირ შეხვდება საყვარელ მომღერალს ჩვენს რედაქციაში.

**1** "ფან-კლუბი" №1, 2003

## ყურადღება!

ნებისმიერი კითხვა, რომელიც გსურთ დაუსვათ თქვენთვის საყვარელ პიროვნებას და შესაბამისად მიიღოთ პასუხი, უნდა ჩააწერინოთ გაზეთ "ფან-კლუბის" ოპერატორს ორშაბათს ან პარასკევს 14-დან 15 სთ-მდე. წერილები კი გამოგზავნეთ მისამართზე: კოსტავას 14, მე-2 სართ., გაზეთი "ფან-კლუბი"

## აბა, გამოიცანი






მათ, ვინც გამოიცნობს ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ორშაბათს, 15 საათზე. ტელ: 989579